

კაპიტალური ტიპის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის  
სამართლებრივი საფუძვლები, გამოწვევები და რეკომენდაციები

ირინა იამანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო  
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირინა იამანიძე

X

ირინა იამანიძე

26.06.2019

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია პარტნიორის გარიცხვა კაპიტალური ტიპის საზოგადოებიდან, აღნიშნულის სამართლებრივი საფუძვლები, გამოწვევები და რეკომენდაციები. კვლევის მიზანი იყო პარტნიორის/აქციონერის კომპანიიდან გამევეების განხილვა, დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა, ძირითადად წამყვანი ქვეყნების: გერმანიის და აშშ-ს მაგალითზე. თუმცა, ამავდროულად, ზემოთხსენებული თემა სხვა სახელმწიფოების გადაწყვეტილებებით თუ კანონმდებლობითაცაა გამყარებული. ამ ყოველივეს დანიშნულება კი, პარტნიორის თუ საზოგადოების დაცვის რეგულაციების გაუმჯობესების აუცილებლობა იყო. შესაბამისად, იგი ემყარება უკვე არსებულ პრაქტიკას, ნორმებს, ხაზს უსვამს პრობლემას და უთითებს მისი გამოსწორების შესაძლებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან არცთუ იშვიათი მოვლენაა, აღნიშნული საკითხი არასაკმარისადაა რეგულირებული, არამხოლოდ ქართული კანონმდებლობით.

ეს კვლევა პირველია, რომელიც სააქციო საზოგადოებიდან და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძვლებს განიხილავს როგორც სხვა ქვეყნების, ისე საქართველოს კანონმდებლობის და გადაწყვეტილებების საფუძველზე. შესაბამისად, იგი ნოვაციაა.

განხილულია კაპიტალური ტიპის საზოგადოების სამართლებრივი ბუნება, პარტნიორის მონაწილეობა კომპანიის საქმიანობაში, მისი გარიცხვის ზოგადი საფუძვლები: ფინანსური და ზიანის მიყენების შედეგად საერთო კრების ნიმუშებად მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს ავტორიტეტული მოსაზრებები.

სხვადასხვა ქვეყნების და საქართველოს კანონმდებლობის თუ პრაქტიკის შედარებით, უფრო მკაფიოდ წარმოჩნდა პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის პრობლემები და მათი მოგვარების გზები. ამდენად, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიის და სხვა აქციონერების დასაცავად, ხშირ შემთხვევაში, საჭიროა მატერიალური თუ მორალური ზიანის მომტანი პარტნიორის გამევეება. შეიძლება აღინიშნოს, რომ ხსენებული ქმედება უფრო პოზიტიურია ვიდრე ნეგატიური, ვინაიდან საზოგადოების საუკეთესო

ინტერესები ყოველთვის გადაწონის კონკრეტული აქციონერის მოთხოვნებს. ნიშანდობლივია, საკანონმდებლო დონეზე მისი რეგულირების აუცილებლობის ხაზგასმა. მოსამართლის ფართო დისკრეციიდან გამომდინარე, სასიკეთო ცვლილებად ისახება ხსენებული საკითხისთვის კანონის ფორმის მინიჭება, თუნდაც, მოქალაქეების მარტივად ინფორმირების თვალსაზრისით. ზემოთაღნიშნული საკითხების ანალიზის შედეგად, პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივი რეგულირების ერთიან ჩარჩოში მოქცევა პრაქტიკაში წამოჭრილ ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. მაშასადამე, იგი სულ უფრო აქტუალური ხდება მსოფლიოს მასშტაბით.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა, სამართლებრივი საფუძვლები, რეკომენდაციები, გამოწვევები.

## ABSTRACT

This Master's thesis focuses on one of the classic ways of resolving corporate conflicts - the expulsion of a shareholder from capital companies such as limited liability company (LLC) and joint stock company (JSC). Additionally, it elaborates upon the legal nature of the expulsion of a shareholder from capital companies. Moreover, the thesis provides a comprehensive overview of the issues relating to the grounds, procedures and consequences of the expulsion of a partner/shareholder. Furthermore, there are described legal aspects of a partner's expulsion with its' challenges and recommendations in the thesis.

The question of whether and when expulsion and valuation clauses in partnership agreements or the articles of corporations are valid has occupied courts from all over the world as well as legal scholars for many decades. While the courts nowadays take a rather restrictive stance on the validity and enforceability of such clauses, a growing body of literature criticises the case law as overreaching with regard to the members' freedom to arrange for the internal affairs of their own association. This thesis depicts mostly the case law of the German and the USA's Courts' practice on expulsion and valuation clauses as well as its echo in the scholarly debate. In addition, there are some other countries included as an example of a good legislation. Subsequently, the analysis turns to the question whether and how this restriction of the partners' and shareholders' freedom of contract can be justified.

The purpose of this thesis is to analyze the legal regulation regarding exclusion of a shareholder and termination of his participation in a limited liability company as well as in a joint stock company. The analyzation is held via comparison with different countries but mostly the Germany and the USA. The reason of choosing this topic is the lack of a scholarly interest in this particular question of corporate law, even though it is a highly practical matter. Moreover, it is emphasized in the thesis that courts' discretion is higher on the expulsion matters than on any other. The study analyzes law, commentaries, books, articles, relevant case law and compares the

current legal regulation with each other throughout the world. The main contribution of this paper is in providing a critical perspective on the expulsion of a partner from a legal society, highlighting the necessity of more legal regulation rather than courts' decisions. As a matter of fact, it is equally important to identify future eventual interpretative problems.

The thesis is composed of several chapters, each of which deals with different aspects of a view on problems of unilateral termination of a participation of a shareholder/partner in the capital society. It is worth mentioning that the actuality of the topic mostly is the result of minority shareholders' oppression and the high standards the modern world requires for the sake of equality. There are the challenges and the recommendations for facing them provided with examples in the paper.

**Key words:** The expulsion, a shareholder/partner, a capital society.